

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„26“ 12“ 2014 წელი

ეგზ. № 2

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიში *აშ = 54/00*

2014 წელი

შინაარსი	
აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
აუდიტის მიდგომა	5
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	6
2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	10
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	10
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	10
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	11
გრძელვადიანი სესხები	11
შენობა-ნაგებობები	12
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	14
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	14
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ	15
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	16
ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)	16
წმინდა ღირებულება	17
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე	18
ინვენტარიზაცია	19
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	20
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები	21
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	21
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	21
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	22
გრძელვადიანი სესხები	22
შენობა-ნაგებობები	23
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	26
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	26
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ	27
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	28
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	28
წმინდა ღირებულება	29
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე	30
ინვენტარიზაცია	30
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	31
ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	32
ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	47
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	61
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	61

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია, უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;

- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;

- სხვა დამატებით პროცედურებს, რომელიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები, გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა;

✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.


ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ბოლნისის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის საშუალებით. მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსულობები, რითაც მუნიციპალიტეტი ახდენს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების დაფინანსებას. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება მიზნობრივი ტრანსფერით, რომელსაც იღებს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და სპეციალური ტრანსფერით, საიდანაც აფინანსებს სხვადასხვა ღონისძიებებს. გათანაბრებით ტრანსფერს ბოლნისის მუნიციპალიტეტი არ ღებულობს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 45 სოფელს 2 დაბას და 1 ქალაქს. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბოლნისი. მისი ფართობია 80.4 ათას ჰა¹. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 78.9 ათასს².

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2012 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 20 271.6 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 12 631.8 ათასი ლარი (62.3 %) წარმოადგენს „სხვა შემოსავლების“ მუხლით მიღებულ შემოსავლებს, მათ შორის, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი“ შეადგენს 11 853.7 ათას ლარს. გრანტების სახით მიღებული შემოსავლებია 1 686.6 ათასი ლარი, რაც შემოსულობების მხოლოდ 8 %-ია. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 277.8 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 1 408.8 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

დიაგრამა N1: 2012 წლის შემოსულობები (ათასი ლარი)




¹ <http://nala.ge>

² <http://geostat.ge>

2012 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 20 447.4 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 9 859.0 ათას ლარს (48.2 %) შეადგენს ხარჯები, 10 421.2 ათასი ლარი (50.9%) წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდას, ხოლო 167.3 ათასი ლარი - ვალდებულებების კლებას.

დიაგრამა N2: 2012 წლის ხარჯები (ათასი ლარი)




2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქუჩების მოასფალტების სამუშაოები;
- წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა სამუშაოები.


მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2013 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 14 523.8 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 9 120.3 ათასი ლარი (62.8 %) წარმოადგენს „სხვა შემოსავლების“ მუხლით მიღებულ შემოსავლებს, მათ შორის, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი“ შეადგენს 8 365.0 ათას ლარს. გრანტების სახით მიღებული შემოსავლებია 3 335.7 ათასი ლარი, რაც შემოსულობების მხოლოდ 23.0 %-ია. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 305.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 3 030.7 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

დიაგრამა N3: 2013 წლის შემოსულობები



2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 17 754.0 ათასი ლარი. გადასახდელებიდან 12 598.7 ათას ლარს (71 %) შეადგენს ხარჯები, 4 963.9 ათასი ლარი (28 %) წარმოადგენს არაფინანსური აქტივების ზრდას, ხოლო 191.4 ათასი ლარი - ვალდებულებების კლებას.

დიაგრამა N2: 2013 წლის ხარჯები (ათასი ლარი)



2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქუჩების მოასფალტების სამუშაოები;
- წყალსადენ-კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სხვადასხვა სამუშაოები.

აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული არსებითი უზუსტობების რისკზე საპასუხოდ განხორციელებული აუდიტორული პროცედურებითა და მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემის შესწავლით გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის მიერ დანერგილი შიდა კონტროლი ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი უზუსტობის გამოვლენას ან/და მათ თავიდან აცილებას შემდეგ პროცედურებზე:

- ✓ არაფინანსური აქტივების აღრიცხვა, საბალანსო ღირებულების შეფასება;
- ✓ მიღებული და გასული არაფინანსური აქტივების მოძრაობა;
- ✓ ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამის ანგარიშებზე კლასიფიკაცია და ფინანსურ ანგარიშგებაში უტყუარად წარდგენა;
- ✓ კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამიჯვნა;
- ✓ გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა;
- ✓ ადგილობრივი ქონების ინვენტარიზაცია.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფს ცალკეული სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ მუშაობას, რის გამოც საფინანსო სამსახურს დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდება ინფორმაცია იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც საჭიროებს ბუღალტრულ ჩანაწერებში ასახვას.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლენილი შიდა კონტროლის ხარვეზები არსებით გავლენას ახდენს 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. კერძოდ, ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების, წმინდა ღირებულების, გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების და სხვა მუხლები.

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშზე არსებული 2012 წლის საწყისი ნაშთი - 4 456.5 ათასი ლარი და საბოლოო ნაშთი - 4 264.7 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსში ნაცვლად მუხლისა „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ აღრიცხულია არასწორად „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“ მუხლში.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხებით არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ და „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“ მუხლები.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, გადაუხდელი და 2012 წლის განმავლობაში მისაღები საიჯარო ქირის ოდენობა საურავის ჩათვლით შეადგენს 10.6 ათასი ლარს.

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბოლნისის ბიუჯეტის მიუღებელი შემოსავლები შეადგენს 10.6 ათასი ლარს, რაც აღრიცხული არ არის ბალანსის აქტივების მუხლში „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში 10.6 ათასი ლარით არასწორად არის წარმოდგენილი „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები.

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ იგივე თანხით შემცირებულია „შემოსავლების“ მუხლი.

მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით

გარემოება: ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „კომუნალური მეურნეობა“ ახდენს დასუფთავების მოსაკრებლის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებას მოსაკრებლის გადამხდელ ორგანიზაციებთან. 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხელშეკრულებების მიხედვით წლის განმავლობაში ტერიტორიის დასუფთავებისათვის გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობა შეადგენდა 12.7 ათას ლარს. წარმოდგენილი მონაცემებით სულ შემოსულია 6.9 ათასი ლარი, მიუღებელია 5.8 ათასი ლარი.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში მუხლი „მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ შემცირებულია 5.8 ათასი ლარით;
- ბალანსის დანართ ფორმა #3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ იგივე თანხით შემცირებულია შემოსავლების (კრედიტი) მუხლი.

გრძელვადიანი სესხები

გარემოება: 2009-2011 წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტმა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიიღო სესხი 2 295.6 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტს ორგანიზაციის ბალანსში მგფ-დან მიღებული სესხის დარჩენილი გადასახდელი ძირითადი თანხა არასწორად აქვს აღრიცხული აქტივების ნაწილში, „გრძელვადიანი სესხების“ მუხლში, საწყისი ნაშთი - 2 117.8 ათას ლარი, ხოლო ნაშთი წლის ბოლოს - 1950.5 ათასი ლარით.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში აქტივების ნაწილი „გრძელვადიანი სესხები“ საწყისი და საბოლოო ნაშთები არასწორად არის წარმოდგენილი, კერძოდ საწყისი ნაშთი გაზრდილია 2 117.8 ათას ლარით, ხოლო ნაშთი წლის ბოლოს გაზრდილია 1950.5 ათასი ლარით.

შენობა-ნაგებობები

გარემოება №1: მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს შეძენილია 37.8 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სამუშაოები. კერძოდ, სოციალურად დაუცველთა სახლის კომუნიკაციის მოწყობა, ღირებულებით 11.8 ათასი ლარი, კოტეჯების შეძენა ღირებულებით 24.0 ათასი ლარი და 2.0 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაოები³. აღნიშნული აქტივები უნდა აღრიცხულიყო ორგანიზაციის ბალანსის შენობა-ნაგებობების მუხლში, რაც არ განხორციელებულა და არასწორად არის ასახული ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა N2-ის „სხვა ხარჯების“ მუხლში.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში არაფინანსური აქტივების „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 37.8 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ 37.8 ათასი ლარით გაზრდილია „სხვა ხარჯების“ მუხლი.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ 37.8 ათასი ლარით შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.
- აღნიშნული გარემოებები გავლენას ბალანსის დანართი ფორმა N3-ის „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ სისწორეზე.

³ ხელშეკრულებები; N 178; N285; N189; N228

გარემოება №2: ბოლნისის მუნიციპალიტეტს 2012 წლის ორგანიზაციის ბალანსის „შენობა-ნაგებობების“ მუხლში აღრიცხული არ აქვს 67.7 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო სამუშაოების და 136.1 ათასი ლარის ღირებულების ამბულატორიის რეკონსტრუქციის სამუშაოს შესყიდვა⁴. აღნიშნული სამუშაოები ნაცვლად „შენობა-ნაგებობებისა“ მუხლისა აღრიცხულია ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა N2-ის „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების მუხლში“.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად შესაბამისი თანხით არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლებზე;
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსის დანართი ფორმა N2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ და ბალანსის დანართი ფორმა N3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ „სხვა საქონლისა და მომსახურების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება №3: 2012 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტმა გადაიხადა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის მომსახურების თანხა 245.1 ათასი ლარის ოდენობით. ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად სესხით სარგებლობის თანხით უნდა გაზრდილიყო იმ აქტივის ღირებულება, რომლის შეძენას, წარმოებასა ან მშენებლობას უშუალოდ უკავშირდებოდა სესხით სარგებლობის დანახარჯები, რაც არ განხორციელებულა.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად 245.1 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.

⁴ ხელშეკრულებები: N31, N251, N211, N250, N199, N247, N246

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 245.1 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი ბალანსის დანართის ფორმა N2-ის „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ პროცენტის მუხლი.
- ფინანსური ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ 245.1 ათასი ლარით შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსისა წმინდა ღირებულების მუხლის და ბალანსის დანართი ფორმა N3-ის „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ სისწორეზე.

მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება : 2011 წლის 24 ოქტომბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება დაბა კაზრეთში პოლიციის შენობის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე, ღირებულებით 92.8 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოები შესრულდა 2012 წელს, თუმცა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლის წინაშე ვალდებულება აღიარა სამუშაოების შესრულებამდე. შესაბამისად, 2012 წლის ორგანიზაციულ ბალანსში „მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლის საწყისი ნაშთი 92.8 ათასი ლარი გაზრდილად არის წარმოდგენილი.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 92.8 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ბალანსის ვალდებულებების ნაწილის და წმინდა ღირებულების საწყისი ნაშთები.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: ბოლნისის მუნიციპალიტეტს ფინანსური ანგარიშგების „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე ასახული აქვს 2009-2011 წლებში მუნიციპალური განვითარების

ფონდიდან აღებული სესხის დაუფარავი ნაწილი. 2012 წლის ორგანიზაციული ბალანსის მიხედვით აღნიშნული ანგარიშის საწყისი ნაშთი შეადგენს 2 117.8 ათასი ლარს, ხოლო ნაშთი წლის ბოლოსთვის - 1 950.5 ათას ლარს. დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ აღებული ვალდებულების დაუფარავი ძირითადი თანხა, 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იყო 2104.5 ათასი ლარი, ანუ 13.3 ათასით ნაკლები ბალანსის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 1932.7 ათას ლარი, 17.8 ათასი ლარით ნაკლები ბალანსის მაჩვენებელზე.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში ვალდებულებების ნაწილი „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანების“ მუხლში საწყისი და საბოლოო ნაშთები არასწორად არის წარმოდგენილი. კერძოდ ნაშთი წლის დასაწყისში გაზრდილია 13.3 ათასი ლარით, ხოლო ნაშთი წლის ბოლოს გაზრდილია 17.8 ათასი ლარით.
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლზე და დანართი ფორმა N3-ის „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ სისწორეზე.

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ

გარემოება : მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ბალანსის დანართი ფორმა N2 „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ შეიცავს გარკვეული უზუსტობებს, კერძოდ: შრომის ანაზღაურების, სუბსიდიის და სოციალური უზრუნველყოფის მუხლების მოთხოვნების მაჩვენებლები აღემატება საკასო ხარჯს, მაშინ როცა აღნიშნული მუხლების მიხედვით მუნიციპალიტეტს ვალდებულებები არ ერიცხება.

გავლენა

გამოვლენილი გარემოების შედეგად ორგანიზაციის ანგარიში „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ შრომის ანაზღაურების, სუბსიდიების და სოციალური უზრუნველყოფის მუხლების მოთხოვნები წარმოდგენილია არასწორად.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება: ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში არასწორად არის აღრიცხული არაფინანსური აქტივები, საერთო ღირებულებით 9.2 ათასი ლარი⁵.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად შესაბამისი თანხით გაზრდილად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №2 „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

გარემოება: „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად, აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ძირითადი აქტივი აღირიცხება მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება დამდგარიყო მათი მიღების შემდეგ. ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ორგანიზაციის ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე არ ხდება ცვეთის დარიცხვა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება ცალკე ჟურნალში, რომლიდანაც მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში აღარ გადმოიტანება.

⁵ ხელშეკრულება N171 (პლაზმური ტელევიზორები, გახეურა, მაცივარი, სამზარეულოს გარნიტური)

გავლენა:

- აღნიშნული გარემოება არსებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსებში აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორეზე, აგრეთვე ბალანსის დანართ ფორმებზე: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (შესაბამისად, ბალანსის დანართები - ფორმა №2, ფორმა №3, ფორმა №5). ასევე დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

წმინდა ღირებულება

გარემოება №1: მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №3, „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ წარმოდგენილია არსებითი უზუსტობებით კერძოდ:

- საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და დასასრულს მუნიციპალიტეტს წმინდა ღირებულების ფორმაში საწყისი და საბოლოო ნაშთები ნაჩვენები აქვს როგორც დებეტის ასევე კრედიტის მხარეს;
- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად⁶, წმინდა ღირებულების ანგარიშზე უნდა აისახოს სხვაობა ყველა აქტივის მთლიან (გარდა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული აქტივებისა) ღირებულებასა და ყველა ვალდებულების (გარდა ეკონომიკური საქმიანობით წარმოქმნილი ვალდებულებებისა) წმინდა ღირებულებას შორის. პასუხისმგებელი პირის განმარტებით წმინდა ღირებულების მუხლის საწყის და საბოლოო

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №1321

ნაშთებში ასახულია ბანკის მიმდინარე ანგარიშზე არსებული საწყისი და საბოლოო ნაშთები რაც არასწორია.

გავლენა:

- აღნიშნულიდან გამომდინარე არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსი, კერძოდ წმინდა ღირებულების მუხლი და ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა №3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“.

გარემოება №2 : ბალანსის დანართ ფორმა N3-ში - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ დებეტში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია თანხით 1536.6 ათასი ლარი. აღნიშნულ თანხაში ასახულია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება თანხით 43.2 ათასი ლარი, რაც არასწორია, ვინაიდან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება აღირიცხება მხოლოდ საქონელი და მომსახურების მუხლში.

გავლენა

- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსის წმინდა ღირებულების მუხლზე და ბალანსის დანართ ფორმა N3-ზე „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“.

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

გარემოება: ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა N6-ში „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“ სატრანსპორტო საშუალებათა შენახვის ხარჯებში მოცემულია საწვავის, სათადარიგო ნაწილებისა და შეკეთების ხარჯი ტრანსპორტის სახეობის მიხედვით (მსუბუქი, ჯიპები და პიკაპები და სატვირთო).

ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა N6-ში სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის საკასო ხარჯი ნაცვლად 337.4 ათასი ლარისა, წარმოდგენილია

თანხით 323.1 ათასი ლარი. ასევე სათადარიგო ნაწილების შეძენის საკასო ხარჯი ნაცვლად 44.9 ათასი ლარისა, წარმოდგენილია თანხით 41.3 ათასი ლარი.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №6-ში „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“ 14.3 ათასი ლარით შემცირებულია „საწვავის“ მუხლი, ხოლო „სათადარიგო ნაწილების“ მუხლი - 3.6 ათასი ლარით.

ინვენტარიზაცია

გარემოება: ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 30 ოქტომბრის N228 ბრძანებით შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ მოახდინა 2012 წლის 1 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებების, სხვა მოძრავი ქონების და მცირეფასიანი ინვენტარის ინვენტარიზაცია. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არ ჩატარებულა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ინვენტარიზაცია. „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების შესაბამისად უძრავი ქონების ინვენტარიზაცია სავალდებულოა ჩატარდეს 3 წელიწადში ერთხელ მაინც, რაც პასუხისმგებელი პირის განმარტებით არ განხორციელებულა.

გავლენა

- დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნა.
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსის არაფინანსური აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების და დანართი ფორმა N5-ში „ორგანიზაციის

ანგარიში არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ“ ანგარიშის სისწორეზე.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: ბოლნისის მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშზე არსებული 2013 წლის საწყისი ნაშთი - 4 264.7 ათასი ლარი და საბოლოო ნაშთი - 1049.5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსში ნაცვლად მუხლისა „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ აღრიცხულია არასწორად მუხლში „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხებით არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ და „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“ მუხლები.

მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით

გარემოება: მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2013 წლის განმავლობაში გადაუხდელი და მისაღები საიჯარო ქირის ოდენობა საურავის ჩათვლით შეადგენს 10.0 ათას ლარს.

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბოლნისის ბიუჯეტის მიუღებელი შემოსავლები შეადგენს 10.0 ათასი ლარს, რაც აღრიცხული არ არის ბალანსის აქტივების მუხლში „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში 10.0 ათასი ლარით არასწორად არის წარმოდგენილი „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლების“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები.

- ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ იგივე თანხით შემცირებულია „შემოსავლების“ მუხლი.

მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით

გარემოება: ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „კომუნალური მეურნეობა“ ახდენს დასუფთავების მოსაკრებლის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებას მოსაკრებლის გადამხდელ ორგანიზაციებთან. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ხელშეკრულებების მიხედვით წლის განმავლობაში ტერიტორიის დასუფთავებისათვის გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობა შეადგენდა 22.2 ათას ლარს. წარმოდგენილი მონაცემებით სულ შემოსულია 9.5 ათასი ლარი, მიუღებელია 12.7 ათასი ლარი.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში მუხლი „მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ შემცირებულია 12.7 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა #3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ იგივე თანხით შემცირებულია შემოსავლების (კრედიტი) მუხლი.

გრძელვადიანი სესხები

გარემოება: 2009-2011 წლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტმა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიიღო სესხი 2 295.6 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტს ორგანიზაციის ბალანსში მგფ-დან მიღებული სესხის დარჩენილი გადასახდელი ძირითადი თანხა არასწორად აქვს აღრიცხული აქტივების ნაწილში, „გრძელვადიანი სესხების“ მუხლში, საწყისი ნაშთი - 1 950.5 ათას ლარი, ხოლო ნაშთი წლის ბოლოს - 1 762.0 ათასი ლარით.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში აქტივების ნაწილი „გრძელვადიანი სესხები“ საწყისი და საბოლოო ნაშთები არასწორად არის წარმოდგენილი, კერძოდ საწყისი ნაშთი გაზრდილია 1 950.5 ათას ლარით, ხოლო ნაშთი წლის ბოლოს გაზრდილია 1 762.0 ათასი ლარით.

შენობა-ნაგებობები

გარემოება №1: მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს შეძენილია 158.7 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სამუშაოები შემდეგი ღირებულებებით: სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - 80.8 ათასი ლარი, რიტუალების სახლის მოწყობა - 39.5 ათასი ლარი, ნაკვეთებისა და სასაფლაოების შემოღობვის სამუშაოები - 26.0 ათასი ლარი, საპროექტო სამუშაოები - 12.4 ათასი ლარი⁷. აღნიშნული აქტივები უნდა აღრიცხულიყო ორგანიზაციის ბალანსის შენობა-ნაგებობების მუხლში, რაც არ განხორციელებულა და არასწორად არის ასახული ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა N2-ის „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში არაფინანსური აქტივების „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 158.7 ათასი ლარით;
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ 158.7 ათასი ლარით გაზრდილია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი;
- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ 158.7 ათასი ლარით შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი;

⁷ ხელშეკრულებები: N117/03/13; N71/01/13; N125/03/13; N157/03/13; N126/03/13; N122/03/13; N148/03/13; N132/03/13; N120/03/13; N145/03/13; N167/03/13; N149/03/13; N121/03/13; N101/03/13; N131/03/13.

- აღნიშნული გარემოებები გავლენას ახდენს ბალანსის წმინდა ღირებულების მუხლის და ბალანსის დანართი ფორმა N3-ის „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ სისწორეზე.

გარემოება №2: მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს შეძენილია 20.2 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები: სოციალურად დაუცველთა სახლის კომუნიკაციის მოწყობა და გაზიფიკაცია ღირებულებით - 19.8 ათასი ლარი, საპროექტო სამუშაოები - 0.4 ათასი ლარი⁸. აღნიშნული აქტივები უნდა აღრიცხულიყო ორგანიზაციის ბალანსის შენობა-ნაგებობების მუხლში რაც არ განხორციელებულა და არასწორად არის ასახული ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა N2-ის „სხვა ხარჯების“ მუხლში.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში არაფინანსური აქტივების „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 20.2 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და ბალანსის დანართ ფორმა №3-ში „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ 20.2 ათასი ლარით გაზრდილია „სხვა ხარჯების“ მუხლი.
- ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ 20.2 ათასი ლარით შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.
- აღნიშნული გარემოებები გავლენას ახდენს ბალანსის წმინდა ღირებულების მუხლის და ბალანსის დანართი ფორმა N3-ის „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ სისწორეზე.

⁸ ხელშეკრულება N285, N31/01/13, N25/01/13, N15/01/13

გარემოება №3: ორგანიზაციის ბალანსში არაფინანსური აქტივების „შენობა-ნაგებობების“ მუხლში და შესაბამისად ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ არ არის აღრიცხული აქტივები საერთო ღირებულებით 46.6 ათასი ლარი , კერძოდ საპროექტო სამუშაოები. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული აქტივები აღრიცხულია მხოლოდ ბალანსის დანართ ფორმა №2-1 „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ“.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში არაფინანსური აქტივების „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 46.6 ათასი ლარით.
- ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ 46.6 ათასი ლარით შემცირებულია შესყიდვით მიღებული „შენობა-ნაგებობების“ მუხლის ჯამური მაჩვენებელი.

გარემოება №4: 2013 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტმა გადაიხადა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის მომსახურების თანხა 221.0 ათასი ლარის ოდენობით. ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად სესხით სარგებლობის თანხით უნდა გაზრდილიყო იმ აქტივის ღირებულება, რომლის შეძენას, წარმოებასა ან მშენებლობას უშუალოდ უკავშირდებოდა სესხით სარგებლობის დანახარჯები, რაც არ განხორციელებულა.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად 221.0 ათასი ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 221.0 ათასი ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი ბალანსის დანართის ფორმა N2-ის „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ პროცენტის მუხლი.
- ფინანსური ანგარიშგებაში (ორგანიზაციის ბალანსი - ფორმა №1), ბალანსის დანართ ფორმა №2-1-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით

საკასო ოპერაციების შესახებ“ და ბალანსის დანართ ფორმა №5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ 221.0 ათასი ლარით შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.

- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსისა წმინდა ღირებულების მუხლის და ბალანსის დანართი ფორმა N3-ის „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ სისწორეზე.

მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება: 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხულია 55.9 ათასი ლარის ღირებულების მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები, საიდანაც 41.3 ათასი ლარი ფაქტიურად არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებებია, რომელიც უნდა აღრიცხულიყო შესაბამისი მუხლით - „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები“. კერძოდ: შემოღობვა, სასმელი წყლისა და გარე ფასადის რეაბილიტაცია⁹.

გავლენა

ორგანიზაციის ბალანსში „მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი გაზრდილია 41.3 ათასი ლარით; იგივე თანხით შემცირებულია „აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი.

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: ბოლნისის მუნიციპალიტეტს ფინანსური ანგარიშგების „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე ასახული აქვს 2009-2011 წლებში მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის დაუფარავი ნაწილი. 2013 წლის ორგანიზაციული ბალანსის მიხედვით აღნიშნული ანგარიშის საწყისი ნაშთი შეადგენს 1 950.5 ათასი ლარს, ხოლო ნაშთი წლის ბოლოსთვის - 1 762.0 ათას ლარს. დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ აღებული ვალდებულების დაუფარავი ძირითადი თანხა, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იყო 1 932.7 ათასი ლარი, ანუ 17.8 ათასით

⁹ ხელშეკრულება N271, N291 და N281

ნაკლები ბალანსის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 1 742.7 ათას ლარი, 19.3 ათასი ლარით ნაკლები ბალანსის მაჩვენებელზე.

გავლენა

- ორგანიზაციის ბალანსში ვალდებულებების ნაწილი „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანების“ მუხლში საწყისი და საბოლოო ნაშთები არასწორად არის წარმოდგენილი. კერძოდ ნაშთი წლის დასაწყისში გაზრდილია 17.8 ათასი ლარით, ხოლო ნაშთი წლის ბოლოს გაზრდილია 19.3 ათასი ლარით.
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსის „წმინდა ღირებულების“ მუხლზე და დანართი ფორმა N3-ის „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ სისწორეზე.

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ

გარემოება: მუნიციპალიტეტის ორგანიზაციული ბალანსის დანართი ფორმა N2 „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ“ შეიცავს გარკვეული უზუსტობებს, კერძოდ: შრომის ანაზღაურების, სუბსიდიის და სოციალური უზრუნველყოფის მუხლების მოთხოვნების მაჩვენებლები აღემატება საკასო ხარჯს, მაშინ როცა აღნიშნული მუხლების მიხედვით მუნიციპალიტეტს ვალდებულებები არ ერიცხება.

გავლენა

გამოვლენილი გარემოების შედეგად ორგანიზაციის ანგარიში „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ შრომის ანაზღაურების, სუბსიდიების და სოციალური უზრუნველყოფის მუხლების მოთხოვნები წარმოდგენილია არასწორად.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

გარემოება: ბალანსის დანართ ფორმა №2-ში „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში არასწორად არის აღრიცხული არაფინანსური აქტივები, საერთო ღირებულებით 8.8 ათასი ლარი¹⁰.

გავლენა

- გამოვლენილი გარემოების შედეგად შესაბამისი თანხით გაზრდილად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №2 „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“;
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსის წმინდა ღირებულების მუხლისა და ბალანსის დანართი ფორმა N3-ის „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ სისწორეზე.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება: „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების შესაბამისად, აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ძირითადი აქტივი აღირიცხება მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება დამდგარიყო მათი მიღების შემდეგ. ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ორგანიზაციის ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე არ ხდება ცვეთის დარიცხვა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბალანსში ასახულ ძირითად აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება ცალკე ჟურნალში, რომლიდანაც მონაცემები ფინანსურ ანგარიშგებაში აღარ გადმოიტანება.

გავლენა:

- აღნიშნული გარემოება არსებით გავლენას ახდენს ორგანიზაციის ბალანსებში აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების სისწორეზე, აგრეთვე ბალანსის

¹⁰ ხელშეკრულება N52/01/13 - მაცივრები, სარეცხი მანქანები და რბილი სამეულები

დანართ ფორმებზე: „ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“, „არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (შესაბამისად, ბალანსის დანართები - ფორმა №2, ფორმა №3, ფორმა №5). ასევე დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება.

წმინდა ღირებულება

გარემოება: მუნიციპალიტეტის ბალანსის დანართ ფორმა №3, „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“ წარმოდგენილია არსებითი უზუსტობებით კერძოდ:

- საანგარიშო პერიოდის დასაწყისში და დასასრულს მუნიციპალიტეტს წმინდა ღირებულების ფორმაში საწყისი და საბოლოო ნაშთები ნაჩვენები აქვს როგორც დებეტის ასევე კრედიტის მხარეს;
- ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად¹¹, წმინდა ღირებულების ანგარიშზე უნდა აისახოს სხვაობა ყველა აქტივის მთლიან (გარდა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული აქტივებისა) ღირებულებასა და ყველა ვალდებულების (გარდა ეკონომიკური საქმიანობით წარმოქმნილი ვალდებულებებისა) წმინდა ღირებულებას შორის. პასუხისმგებელი პირის განმარტებით წმინდა ღირებულების მუხლის საწყის და საბოლოო ნაშთებში ასახულია ბანკის მიმდინარე ანგარიშზე არსებული საწყისი და საბოლოო ნაშთები რაც არასწორია.

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №1321

გავლენა:

- აღნიშნულიდან გამომდინარე არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსი, კერძოდ წმინდა ღირებულების მუხლი და ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა №3 „ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“.

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

გარემოება: ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №6-ში „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“ სატრანსპორტო საშუალებათა შენახვის ხარჯებში მოცემულია საწვავის, სათადარიგო ნაწილებისა და შეკეთების ხარჯი ტრანსპორტის სახეობის მიხედვით (მსუბუქი, ჯიპები და პიკაპები და სატვირთო).

წარმოდგენილი მონაცემებით, ბალანსის დანართ ფორმა №6-ში სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის საკასო ხარჯი ნაცვლად თანხისა 173.5 ათასი ლარი, წარმოდგენილია თანხით 180.7 ათასი ლარი.

გავლენა

- ბალანსის დანართ ფორმა №6-ში „ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე“ 7.2 ათასი ლარით გაზრდილია „საწვავის“ მუხლი.

ინვენტარიზაცია

გარემოება: ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 18 ოქტომბრის N228 ბრძანებით შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ მოახდინა 2013 წლის 21 ოქტომბრიდან 13 დეკემბრამდე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ძირითადი აქტივების (სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოძრავი ქონება) და მცირეფასიანი ინვენტარის ინვენტარიზაცია. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ რაიმე სახის ზედმეტობა ან დანაკლისი არ გამოვლენილა. საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არ ჩატარებულა ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ინვენტარიზაცია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მათ არასდროს არ ჩატარებიათ აღნიშნული ქონების

ინვენტარიზაცია. კანონმდებლობის შესაბამისად უძრავი ქონების ინვენტარიზაცია სავალდებულოა ჩატარდეს 3 წელიწადში ერთხელ მაინც¹².

გავლენა

- დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნა.
- აღნიშნული გარემოება გავლენას ახდენს ბალანსის არაფინანსური აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთების და დანართი ფორმა N5-ში „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მოძრაობის შესახებ“ ანგარიშის სისწორეზე.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

¹² არ არის შესრულებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის მოთხოვნა.

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის ბალანსი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისის ვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110	0	0
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120	0	0
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	0	0
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220	0	0
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230	0	0
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240	0	0
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250	4456530	4264714
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260	0	0
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270	0	0
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	0	0
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290	750	24070
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310	0	0
130	მოკლევადიანი სესხები	1320	0	0
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330	0	0
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340	0	0
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351	0	0
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352	0	0
180	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353	0	0
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	0	0
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	0	0
210	გადახდილი დღგ	1356	0	0
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	0	0
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	0	0
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359	0	0
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360	0	0
260	მოთხოვნები ბარტერით	1410	0	0

270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420	0	0
280	მოთხოვნები წინასწარი გადახდებით	1430	0	0
290	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	0	0
300	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450	0	0
310	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460	0	0
320	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	0	0
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	0	0
340	გრძელვადიანი სესხები	1510	2117775	1950500
350	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1520	0	0
360	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1530	0	0
II. არაფინანსური აქტივები				
370	სტრატეგიული მარაგები	1610	0	0
380	სხვა მატერიალური მარაგები	1620	9133	118638
390	შენობა-ნაგებობები	2110	32061403	39892510
400	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	2231872	2338519
410	სხვა ძირითადი აქტივები	2130	373111	373111
420	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140	122999	1946220
430	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	445785	579558
440	ფასეულობები	2300	0	0
450	არაწარმოებული აქტივები	2400	6455609	6283347
	ბალანსი		48274967	57771187

